დანართი 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

I. ზოგადი ინფორმაცია:

პროგრამის სახელწოდება: მაკროეკონომიკა

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) **რაოდენობის მითითებით:** 6 კრედიტი (150 საათი), მ.შ. 45 საკონტაქტო, 15 საკონსულტაციო და 90 დამოუკიდებელი საათი

პროგრამის ხანგრძლივობა: 15 კვირა, კვირაში 3 საათი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ა) ISET, ზანდუკელის 16 ან
ბ) დამკვეთი ორგანიზაცია

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა: 20-25 სტუდენტი/მსმენელი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები: ზვიად ზედგინიძე, გიორგი გედენიძე (მათი *CV თან ერთვის*)

პროგრამის ხელმძღვანელი: მზია მიქელაძე (*CV თან ერთვის*)

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი:
პროგრამაში ჩართვის წინაპირობას წარმოადგენს მათემატიკის ცოდნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დონეზე. სასურველია მიკროეკონომიკის საბაზისო ცოდნა.

კურსი განკუთვნილია:

- სახელმწიფო სექტორში დასაქმებული პრაქტიკოსებისათვის, რომლებიც აანალიზებენ მაკროეკონომიკურ პროცესებს და იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში ეკონომიკური განვითარების შესახებ
- კერძო სექტორში დასაქმებული პრაქტიკოსებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება-რეალიზებაში
- ბიზნესის და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

პროგრამის ღირებულება: შეთანხმებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე შემკვეთი ორგანიზაციის ფინანსური შესაძლებლობებიდან

პროგრამის შემუშავების თარიღი: ოქტომბერი, 2009

II. პროგრამის შინაარსი და მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

პროგრამის მიზნები და ამოცანები:

პროგრამის მიზანია ფინანსურ სექტორში დასაქმებულ მუშაკებს გამოუმუშაოს მაკროეკონომიკური ანალიზის უნარი და მიაწოდის ის საბაზისო ცოდნა რაც აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესების ღრმა ანალიზისათვის და მთავრობისა თუ ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტისათვის.

პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები:

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება შეაფასოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა და ძირითადი ტენდენციები მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. შეაფსასოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების შესაძლო გავლენა ფინანსურ სექტორზე და ეკონომიკის რეალურ მაჩვენებლებზე. აგრეთვე განასხვავოს ეს შესაძლო შედეგები მოკლე და გრძელვადიანი პერიოდისათვის.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

#	**საკითხები**	**ლიტერატურა**
1	შესავალი. მაკროეკონომიკა, როგორც მეცნიერება. მაკროეკონომიკური მონაცემები	Blanchard, თავები 1 და 2 Mankiw, თავები 1 და 2
2	ეროვნული შემოსავალი	Mankiw, თავი 3
3	ღია ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში	Mankiw, თავი 5
4	ეკონომიკური ზრდა I: დანაზოგები, კაპიტალის აკუმულირება და მოსახლეობის ზრდის ტემპი	Mankiw, თავი 7 Blanchard, თავი 10 და 11
5	ეკონომიკური ზრდა II: ტექნოლოგიური პროგრესი და ეკონომიკური პოლიტიკა	Mankiw, თავი 8 Blanchard, თავი 12
6	ერთობლივი მოთხოვნა I: IS/LM მოდელის აგება	Mankiw, თავი 10 Blanchard, თავი 3 და 4
7	ერთობლივი მოთხოვნა II: IS/LM მოდელის გამოყენება	Mankiw, თავი 11 Blanchard, თავი 5
8	ღია ეკონომიკა მოკლევადიან პერიოდში: მანდელ-ფლემინგის მოდელი და გაცვლითი კურსის რეჟიმი	Blanchard, თავები 18, 19 და 20 Mankiw, თავი 12

#	საკითხები	ლიტერატურა
9	შრომის ბაზარი. უმუშევრობა	Mankiw, თავი 6 Blanchard, თავი 6
10	მოთხოვნა-მოწოდების მოდელი. უმუშევრობის ბუნებრივი დონე და ფილიპსის მრუდი	Mankiw, თავი 11 Blanchard, თავები 7 და 8
11	ინფლაცია, ეკონომიკური აქტივობა და ნომინალური ფულადი მასის ზრდა	Mankiw, თავი 4 Blanchard თავი 9
12	მოლოდინები და ფინანსური ბაზრები	Blanchard,თავი 15
13	მოლოდინები, მოხმარება და ინვესტიციები	Blanchard, თავი 16
14	მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა	Blanchard, თავები 25 და 26
15	გამოცდა	

ლიტერატურა:

1. Olivier Blanchard, *Macroeconomics*, 4th edition, Prentice-Hall
2. Gregory Mankiw, *Macroeconomics,* 6th edition, Worth Publishers

მონაწილეთა შეფასების სისტემა:

ფრიადი	A (90%-ზე მეტი)
ძალიან კარგი	B (81%-90%)
კარგი	C (71%-80%)
დამაკმაყოფილებელი	D (61%-70%)
საკმარისი	E (51%-60%)
ვერ ჩააბარა	FX (41%-50%)
ჩაიჭრა	F (40% და ნაკლები)

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

საბოლოო შედეგის მიხედვით, მონაწილე, რომელიც მიიღებს შეფასებას A-E, მიიღებს კურსის წარმატებით გავლის სერტიფიკატს;

მონაწილე, რომელიც მიიღებს შეფასებას FX, მიიღებს “მოისმინა” სერტიფიკატს;

მონაწილე, რომელიც მიიღებს შეფასებას F, სერტიფიკატს ვერ მიიღებს.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:
სალექციო ოთახი პროექტორით, დაფა, ელ-ბიბლიოთეკა